საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3243/01
26/03/2020

3243-01-2-202003261842

საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 27 თებერვლის N 2-12/2528 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. დაბაში, მდ. გუჯარულას ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშში (გვ.3 საქმიანობის განხორციელების ადგილი და საქმიანობის სახე) მითითებულია ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. ბალღოჯიანი, მდ. შოროხევის ნაპირსამაგრი სამუშაოები ნაცვლად ბორჯომის მუნიციპალიტეტის, სოფ.დაბაში, მდ. გუჯარულას ნაპირსამაგრი სამუშაოებისა. ამასთან სკრინინგის ანგარიშის მე-9 გვერდზე მითითებულია მდინარე ქვაბლიანი. ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნეს მდ. გუჯარულას წყლის მაქსიმალური ხარჯისა და კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიღრმის შესახებ დეტალური ინფორმაცია, გამოყენებული ფორმულების მითითებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044